EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights' database HUDOC.

საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ
(Sakvarelidze v. Georgia)
საჩივარი N 40394/10
2020 წლის 6 თებერვალი

ფაქტები:

მომჩივანი, მარიამ საყვარელიძე, 1949 წელს წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში.

წინამდებარე საქმე ეხება სამხედრო ჯავშანმანქანისა და მსუბუქი ავტომანქანის შეჯახების შედეგად მომჩივნის შვილისა და დის გარდაცვალებას.

მომჩივანი და მისი ოჯახის წევრები 2003 წლის 22 ნოემბერს, ვარდების რევოლუციის საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს, თბილისის ქუჩაში მანქანით გადაადგილდებოდნენ, როდესაც მათ მანქანას დაეჯახა სამხედრო ჯავშანმანქანა, რომელსაც პოლიციელი ან სამხედრო ოფიცერი მართავდა. დაჯახების შედეგად მომჩივნის შვილი და და დაიღუპნენ, ხოლო მომჩივანმა და მისმა დის შვილებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. აღნიშნულ საქმეს იძიებდნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, მათ შორის თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ქ. თბილისის პროკურატურა. ამ პერიოდში გამოძიება რამდენჯერმე შეწყდა და ისევ განახლდა.

2010 წელს პროკურატურამ მომჩივანს აცნობა, რომ მიუხედავად საგამოძიებო მოქმედებებისა შეუძლებელი იყო ზუსტად იმის დადგენა, თუ რა მოხდა ავტოსაგზაო ინციდენტის დროს. პროკურატურამ გამოძიება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო 2017 წლის მარტში შეწყვიტა.

მომჩივანი, კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაზე,

რომლის შედეგადაც მისი შვილი და და გარდაიცვალნენ, სახელმწიფოს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. მომჩივანი აგრეთვე დავობდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტური იყო.

სასამართლოს შეფასება

ა) კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულებები

49. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მე-2 მუხლი ეხება არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ ასევე ისეთ სიტუაციებს, როდესაც სიკვდილი გამოიწვია სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის უნებლიე გამოყენებამ (მაგალითისთვის იხ. *McShane v. the United Kingdom*, N 43290/98, § 101, 28 მაისი 2002). სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2003 წლის 22 ნოემბრის ავტოსაგზაო შემთხვევის კონკრეტული გარემოებები, კერძოდ - რა სიჩქარით მოძრაობდა სამხედრო ჯავშანმანქანა; გზის რომელ მონაკვეთზე შეეჯახნენ სამხედრო მანქანა და მომჩივნის შვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა; და ასევე გაიქცა თუ არა შემთხვევის ადგილიდან AMV-ს მძღოლი - მხარეებს შორის სადავო იყო. ასეთი გადამწყვეტი ფაქტების ცოდნის გარეშე შეუძლებელია მომჩივნის საჩივრის სათანადო შეფასება. კერძოდ, არის თუ არა მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელი საგზაო მოძრაობის რეგულაციების სავარაუდო დარღვევაზე, AMV-ს მძღოლის მიერ დაუდევრობის ან მიზანმიმართული ქცევის გამო, რომელიც იმ დროისთვის პოლიციელი ან სამხედრო პირი იყო (იხ. პარაგრაფი 14; შედარებისთვის იხ. *Mikhno v. Ukraine*, no. 32514/12, §§ 125 და 129, 1 სექტემბერი 2016, და *Kotelnikov v. Russia*, no. 45104/05, §§ 93 და 94, 12 ივლისი 2016). სასამართლო, მისი დამხმარე როლის გათვალისწინებით, ფრთხილად უნდა იყოს მაშინ, როდესაც მას მოუწოდებენ 16 წლის წინ მომხდარი ფაქტების ზუსტ აღდგენას. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ კომპეტენტური ეროვნული სახელმწიფო ორგანოები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, რათა დაადგინონ ფაქტები (შედარებისთვის იხ. McShane, ციტირებული ზემოთ, § 103, და *Shanaghan v. the United Kingdom*, no. 37715/97, § 95, 4 მაისი 2001). მართლაც, არსებული ვითარება არ შეიძლება გათანაბრებული იყოს პატიმრობაში ყოფნის დროს სიკვდილთან, როდესაც მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს (იხ. *McShane*, ციტირებული ზემოთ, §§ 101 და 104), ან სიკვდილთან, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მარცხით, შეექმნა ადეკვატური მარეგულირებელი ჩარჩო საფრთხის შემცველ საქმიანობასთან დაკავშირებით (იხ. *Mikhno*, ციტირებული ზემოთ, § 126; *Finogenov and Others v. Russia*, nos. 18299/03 და 27311/03, § 209, ECHR 2011 (ამონარიდები); და *Öneryıldız v. Turkey* [დიდი პალატა], no. 48939/99, § 90, ECHR 2004-XII). მომჩივანს არასდროს

უდავია და მსგავსი ვარაუდის დაშვება არც არსებული ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება, რომ მომჩივნის უახლესი ნათესავის სიკვდილი გამოიწვია სამართლებრივი ჩარჩოების ნაკლებობამ ან სახელმწიფოს მარცხმა, შეესრულებინა „პრევენციული ოპერატიული ღონისძიება“ (შედარებისთის იხ. *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [დიდი პალატა], no. 41720/13, §§ 135 და 136, 25 ივნისი 2019). მიუხედავად იმისა, რომ ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია სამხედრო მანქანამ, ფაქტებზე დაყრდნობით არ შეიძლება ითქვას, რომ AMV-ს მძღოლის მიერ გამოყენებულმა ძალამ წარმოშვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით (შედარებისთის იხ. *McShane*, ციტირებული ზემოთ, § 101).

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის არ იმყოფება იმ პოზიციაში, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, მომჩივნის შვილისა და დის სიკვდილის გამო, კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის საფუძველზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. საქმეში არსებული მასალებისა და ეროვნულ დონეზე საგამოძებო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო შემოიფარგლება იმის გამორკვევით, შეესაბამებოდა თუ არა ეროვნული გამოძიება მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილით დადგენილ რელევანტურ სტანდარტებს (იხ., *Nicolae Virgiliu Tănase*, ციტირებული ზემოთ, §§ 137-138, 153 და 157-158; *Kotelnikov*, ციტირებული ზემოთ, §§ 99-101 და 111; *Masneva v. Ukraine*, no. 5952/07, § 51, 20 დეკემბერი 2011; *Fedina v. Ukraine*, no. 17185/02, § 63, 2 სექტემბერი 2010; *McShane*, ციტირებული ზემოთ, § 105; და *Shanaghan*, ციტირებული ზემოთ, § 99).

ბ) კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულებები

(i) ზოგადი პრინციპები

51. კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი წინადადება სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის უფლების დაცვას (იხ.,, , Zubkova v. Ukraine, N36660/08, § 35, 17 ოქტომბერი 2013). სიცოცხლისთვის საშიში დაზიანების ან სიკვდილის შემთხვევაში, ზემოხსენებული ვალდებულება მოითხოვს ეფექტურ დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას, რომელიც აღასრულებს საკანონმდებლო ჩარჩოს ადეკვატური ზიანის ანაზღაურების მიკუთვნებით (იხ., მაგალიტად, Anna Todorova v. Bulgaria, N 23302/03, § 72, 24 მაისი 2011). ეს ვალდებულება აგრეთვე გულისხმობს საგზაო შემთხვევების დროს სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას (იხ., მაგალითად, Al Fayed v. France (dec.), N38501/02, §§ 73-78, 27 სექტემბერი 2007; Rajkowska v. Poland (dec.), N37393/02, 27 ნოემბერი 2007; და Railean v. Moldova, N23401/04, § 30, 5 იანვარი 2010). მართალია,

სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეცია, გადაწყვიტონ თუ როგორ იქნეს შემუშავებული და განხორციელებული სიცოცხლის უფლების დამცავი საკანონმდებლო ჩარჩო, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებამ, რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მას, ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან ერთობლიობაში, წარმოქმნას სამართლებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ დადგინდეს ფაქტები, პასუხისმგებლობა დაეკისროს დამნაშავე პირებს და უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო ზიანის ანაზღაურება (იხ., Antonov v. Ukraine, no. 28096/04, § 46, 3 ნოემბერი 2011).

52. ამ კონტექსტში სათანადო და დროული გამოძიების მოთხოვნა ცალსახაა. მაშინაც კი, როდესაც ადგილი აქვს დაბრკოლებებს ან სირთულეებს, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში შეუძლებელს ხდის გამოძიების განვითარებას, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან დროული რეაგირება არსებითი მნიშვნელობისაა საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების მიზნით, როგორც კანონის უზენაესობის დაცვის, ასევე უკანონო ქმედებების მიმართ შეუწყნარებლობის კუთხით (იხ. *Šilih v. Slovenia* [GC], no. 71463/01, § 195, 9 April 2009). ასევე, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე წარდგენილ არაერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა ავტოსაგზაო შემთხვევებისგან სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის იმპლემენტაციას, დარღვევის დადგენა დიდწილად ეფუძნებოდა იმ შემთხვევების არსებობას, როდესაც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამართალწარმოების უსაფუძვლო გაჭიანურებას ან აღნიშნულის მიმართ მათ უპასუხისმგებლო მოქმედებას (იხ. *Anna Todorova*, ციტირებული ზემოთ, § 76; *Antonov*, ციტირებული ზემოთ, §§ 50-52; *Igor Shevchenko v. Ukraine*, N 22737/04, §§ 57-62, 12 იანვარი 2012; *Sergiyenko v. Ukraine*, N 47690/07, §§ 51-53, 19 აპრილი 2012; *Prynda v. Ukraine*, N 10904/05, § 56, 31 ივლისი 2012; and *Zubkova,* ციტირებული ზემოთ, §§ 41-42, 17 ოქტომბერი 2013).

(ii) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე

53. წინამდებარე საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა, მას შემდეგ რაც ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ შეიტყვეს, დროულად აღძრეს სისხლის სამართლის საქმის წარმოება და დაუყოვნებლივ გაატარეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, როგორიცაა ეჭვმიტანილთა და მოწმეთა დაკითხვა და შესაბამისი ექსპერტიზების ჩატარება. მიუხედავად ამისა, გამოძიების ადრეულ ეტაპზე გატარებული დადებითი ნაბიჯები შემდგომში დაჩრდილა გამოძიების საერთო ხანგრძლივობამ და საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობამ. ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2003 წლის 22 ნოემბერს, ხოლო გამოძიება დამთავრდა 2017 წლის 1-ელ მარტს, 13 წლის შემდეგ, საქმის არსებითი ნაწილის განსაზღვრის გარეშე. გამოძიების გაჭიანურებას ამწვავებდა საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სრული უმოქმედობის რამდენიმე ხანგრძლივი პერიოდი (შეადარე, მაგალითად, *Prynda*, ციტირებული ზემოთ, § 56; *Zubkova*, ციტირებული ზემოთ, § 41; და *Dvořáček and Dvořáčková v. Slovakia*, n. 30754/04, §§ 68-69, 28

ივლისი 2009). ეროვნულმა ხელისუფლებამ რამდენჯერმე თავად აღიარა, რომ გამომძიებლები მტკიცებულებების შეგროვების დროს არ მოქმედებდნენ სათანადო გულისხმიერებით (შეადარე, მაგალითად, *Antonov*, ციტირებული ზემოთ, §§ 50 და 51, და *Oleynikova v. Ukraine*, N38765/05, § 81, 15 დეკემბერი 2011).

54. ამავდროულად, სასამართლო ვერ ხვდება ეროვნულ დონეზე საქმის გაჭიანურების კონკრეტულ მიზეზს. გამოძიების თავდაპირველ ეტაპზევე ცნობილი იყო იმ პირის ვინაობა, ვინც ჯავშანმანქანას მართავდა, ასევე, დაკითხული იყვნენ მოწმეები და ჩატარებული იყო შესაბამისი ექსპერტიზები. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება არ მიიღეს. მთავრობა არც კი დავობდა, რომ გამოძიების გაჭიანურება გამართლებული იყო სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროცედურული ღონისძიებების განხორციელების საჭიროებით ან მომჩივნის ქმედებით ან სხვა შესაბამისი მიზეზებით (მაგალითად, შეადარე, Igor Shevchenko, § 60, და Sergiyenko, § 52, და შეადარე Nicolae Virgiliu Tănase, ციტირებული ზემოთ, § 184). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმაა, როგორც არაგონივრული ვადით უმოქმედობა, ისე ხელისუფლების მხრიდან გულისხმიერების ნაკლოვანება პროცესის წარმართვისას, გამოძიებას, მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად, არაეფექტურად გადააქცევს (იხ. *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, no. 50375/07, § 89, 18 July 2019). სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საგამოძიებო ხელისუფლების გაჭიანურებებმა შესაძლებელი გახადა სისხლის სამართლის საქმის წარმოების სტაგნაცია 10 წელზე მეტი ვადით, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლა და სამართალწარმოების შეწყვეტა, ჯავშანმანქანის მძღოლის პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე (შეადარე *Mažukna v. Lithuania*, N 72092/12, § 83, 11 აპრილი 2017, და *Angelova and Iliev v. Bulgaria*, no. 55523/00, §§ 101 და 116, 26 ივლისი 2007)). ხანდაზმულობის ვადის გასვლის ერთადერთი მიზეზი იყო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა, რაც სასამართლოს მოსაზრებით გამოძიების განზრახ გაჭიანურებას გავდა. ეს კიდევ ერთი მითითებაა იმისა, რომ სისხლის სამართლის სისტემამ დაადასტურა, რომ ის არ იყო მკაცრი და მომჩივანს ართმევდა ზიანის ანაზღაურების მოპოვების შესაძლებლობას (შეადარე, *mutatis mutandis*, *V.K. v. Russia*, no. 68059/13, § 185, 7 მარტი 2017; *Kraulaidis v. Lithuania*, no. 76805/11, §§ 58 და 63, 8 ნოემბერი 2016; და *İzci v. Turkey*, N42606/05, § 72, 23 ივლისი 2013). სწორედ ეროვნული გამოძიების არაეფექტურობის ბრალი იყო ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხელი შეეშალა გადაწყვეტილება მიეღო კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის თანახმად მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე.

55. ზემოხსენებული გარემოებები საკმარისია, რათა სასამართლომ დაასკვნას, რომ 2003 წლის 22 ნოემბრის ავტოსაგზაო შემთხვევის გამოძიება არ იყო ეფექტური. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას.

კონვენციის 41-ე მუხლი

სასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 25,000 ევრო მიაკუთვნა.